

სს ფრანს ავტო

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

საანგარიშგებო წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. მომზადების საფუძვლები	6
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	9
5. ძირითადი საშუალებები	10
6. მარაგები	10
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11
8. ფული და ფულის ეკვივალენტები	11
9. მიღებული სესხები	11
10. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	12

სს ფრანს ავტო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება


2018 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	210,984	132,638
არამატერიალური აქტივები		5,391	4,934
სულ გრძელვადიანი აქტივები		216,376	137,573
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	472,296	433,193
მარაგები	6	1,764,091	1,475,286
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	281,263	1,149,873
საგადასახადო აქტივი		9,998	22,893
სხვა მიმდინარე აქტივები		82,164	196,594
სულ მიმდინარე აქტივები		2,609,813	3,277,839
სულ აქტივები		2,826,188	3,415,411
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		1,000,000	1,000,000
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		81,529	425,299
სხვა რეზერვები		12,078	
სულ კაპიტალი		1,093,607	1,425,299
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	9	778,720	726,722
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		778,720	726,722
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		796,762	1,107,864
სახელფასო ვალდებულებები		14,094	7,566
გამოუმუშავებელი შემოსავალი		131,197	129,403
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	9	11,808	18,558
სულ მიმდინარე ვალდებულებები		953,862	1,263,391
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,826,188	3,415,411

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 1 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი




6-12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს ფრანს ავტო

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

სრული შემოსავლის ანგარიშგება	2018
შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან	5,803,931
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	368,657
საიჯარო შემოსავალი	4,703
სხვა შემოსავალი	11,337
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(4,705,247)
საერთო მოგება	1,483,382
ცვეთა და ამორტიზაცია	(38,461)
დასაქმებულთა ანაზღაურება	(687,628)
საპროცენტო შემოსავალი	9,156
საპროცენტო ხარჯი	(350)
იჯარის ხარჯი	(211,077)
კომერციული ხარჯი	(34,276)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(187,067)
საოპერაციო მოგება	333,679
კურსთაშორის სხვაობით წარმოშობილი მოგება/(ზარალი), წმინდა	(36,805)
საეჭვო მოთხოვნების ანარიცხის ხარჯი	(776,829)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	136,187
წმინდა მოგება / (ზარალი)	(343,769)
მოგების გადასახადის ხარჯი	
მთლიანი სრული მოგება / (ზარალი)	(343,769)

6-12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს ფრანს ავტო

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / (ზარალი)	სხვა რეზერვები	სულ
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრისთვის	1,000,000	425,299	-	1,425,299
დივიდენდები	-	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / (ზარალი)	-	(343,769)	12,078	(331,692)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	1,000,000	81,529	12,078	1,093,607

6-12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს ფრანს ავტო

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია სს ფრანს ავტო-სთვის (შემდგომში „კომპანია“) 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის.

კომპანია არის საქციო საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2009 წელს. ის რეგისტრირებულია გორის საგადასახადო ინსპექციის მიერ, შემდეგ მისამართზე - თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ბესიკის ქ., №4, მიმდებარე ბინა №65. საიდენტიფიკაციო ნომრით: 236098165.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს რენოს მარკის ავტომობილების საქართველოში იმპორტი და რეალიზაცია, საბითუმო ვაჭრობა ახალი და მეორადი ავტომობილებით, ავტომობილების და მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებების იჯარით გაცემა, საცალო ვაჭრობა ავტომობილების სათადარიგო ნაწილებით და აქსესუარებით, ასევე შესაბამისი ავტო-სერვისის გაწევა.

2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები არიან:

მფლობელები	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
IMEDI SAS (რეგისტრირებული საფრანგეთში, ს/ნ 350661989)	85.15% (851,500 ცალი აქცია)	75.25% (752,500 ცალი აქცია)
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი (ს/ნ 204975376)	14.85% (148,500 აქცია)	24.75% (247,500 ცალი აქცია)

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ბესიკის ქ., №4, მიმდებარე ბინა №65.

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ეს არის კომპანიის პირველი ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის და მსს ფასს 35-ე განყოფილების „მსს ფასს სტანდარტებზე გადასვლა“ შესაბამისად. კომპანიის მსს ფასზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი.

კომპანია აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის დაცვით და ფინანსურ ანგარიშგებებს ამზადებს ქართულ ლარში. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალებულად 1 ლარამდე სიზუსტით, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, კომპანიის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანია ზოგადად არ მოელის, რომ მსს ფასს სტანდარტების 35.11 პუნქტის ფარგლებში განსაზღვრული მეთოდი შესწორება არაპრაქტიკული იქნება კომპანიისთვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს და მომავალი ვალდებულებების საფარუდო დღევანდელ ღირებულებას, ასევე შემენის მიმდინარე ფასს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და ექვემდებარება სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს აქტივის ჩამოწრას.

ცვეთა ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფს ერიცხება წრფივად. სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოხილვება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მანქანა - დანადგარები	20%
სატრანსპორტო საშუალებები	10%
კომპიუტერული ტექნიკა	20%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	30%-100%

ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებულია აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისგან (მაგალითად: ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო მოსაკრებელი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები). რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება: ავტომატიზაციისთვის - ინდივიდუალური დანახარჯების მეთოდი; ავტონაწილებისთვის - საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადი ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს საღარიბოში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით.

ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა მოთხოვნიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირების მეშვეობით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები არის საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში მიღებული სერვისის ან შეძენილი საქონლის სანაცვლოდ მომწოდებლისთვის გადასახდელი თანხები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

კაპიტალი და დივიდენდები

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალის, რეზერვის და გაუნაწილებელი მოგებისგან. დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იშიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

დაბეგვრა

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ახალი მოდელი შევიდა ძალაში. აღნიშნული ცვლილების მიზანი მოგების გადასახადის ადმინისტრირების გამარტივება და ბიზნესის ზრდის ხელშეწყობაა. ახალ მოდელში მთავარ ცვლილებას ერთობლივი შემოსავლის დაბეგვრის გადავადებაა, გაუნაწილებელი მოგების დივიდენდის სახით გაცემამდე. აღნიშნული ცვლილება გაზრდის მოგების რეინვესტირების მოცულობას. მოგების გადასახადის განაკვეთი არ იცვლება და ძველი მოდელის მსგავსად 15% რჩება. დამატებით წლიურად დაბეგვრის ნაცვლად, გადასახადის დარიცხვა ყოველთვიურად მოხდება. მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი ტრანზაქციები/გადახდები: დივიდენდის გაცემა; სხვაობა კონტრაქტის ღირებულებასა და საბაზრო ფასს შორის; ხარჯები, რომლებიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან; საჩუქრები; წარმომადგენლობითი ხარჯები ლიმიტს ზემოთ. მოგების გადასახადის ახალი მოდელის სპეციფიკიდან გამომდინარე საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობა არ გვაქვს. შესაბამისად, არ წარმოიქმნება გადავადებული გადასახადი.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

შემოსავალი

შემოსავლის აღრიცხვა ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. შემოსავლების შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულების ოდენობით, ნებისმიერი ფასდაკლების, საბითუმო ფასდაკლების და დღგ-ს გამოკლებით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლების აღრიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მომხმარებელს გადასცემს მფლობელობასთან და მართვასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებს და სარგებელს.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი შედავათები აღიარდება იმ წელს, როდესაც თანამშრომელმა გასწია შესაბამისი მომსახურება.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესახებ, შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონიერულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. დამატებითი ინფორმაცია ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულების შესახებ მოცემულია მე-5 განმარტებით შენიშვნაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ფინანსური აქტივიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივების გაუფასურებას წარსული გამოცდილების საფუძველზე. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტობრივი შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

სს ფრანს ავტო

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2018 წლის 31 დეკემბრისთვის და 1-ლი იანვრისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
ნაშთი 01.01.2018	52,925	76,654	118,865	4,855	253,299
შემოსვლა	13,361	30,052	112,725		
გასვლა	7,444	14,419	78,880		
ნაშთი 31.12.2018	58,842	92,286	152,709	4,855	308,693
დაგროვილი ცვეთა					
დაგროვილი ცვეთა 01.01.2018	26,555	41,805	50,958	1,343	120,660
ცვეთა წლის განმავლობაში	8,293	23,588	12,485	624	
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	1,415	16,271	50,255		
დაგროვილი ცვეთა 31.12.2018	33,432	49,122	13,188	1,966	97,708
ნეტო საბალანსო ღირებულება					
ნეტო საბალანსო ღირებულება 01.01.2018	26,370	34,849	67,907	3,513	132,638
ნეტო საბალანსო ღირებულება 31.12.2018	25,410	43,164	139,521	2,889	210,984

6. მარაგები

	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
საქონელი		
ახალი ავტომანქანები	1,165,546	899,162
გამოყენებული ავტომანქანები	18,166	17,606
სათადარიგო ნაწილები და ინვენტარი	560,882	543,128
საწვავი	961	846
სხვა მარაგები	18,536	14,544
	1,764,091	1,475,286

სს ფრანს ავტო

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ფინანსური მოთხოვნები:		
სავაჭრო მოთხოვნები	1,043,153	1,079,010
საექვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(776,829)	
არაფინანსური მოთხოვნები		
გადახდილი ავანსები	14,940	70,863
ჯამი	281,263	1,149,873

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ფული სალაროში	1,002	356
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე, ლარში	471,294	403,168
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე, უცხოურ ვალუტაში	-	29,669
	472,296	433,193

9. მიღებული სესხები

მიღებული სესხები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სესხის გამცემი:	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
IMEDI SAS	778,720	733,822
შპს "ლაქმერი ქარს"	11,808	11,458
	790,528	745,280

მიღებული სესხების მოკლევადიანი და გრძელვადიანი ნაწილის გამოკვეთა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
მოკლევადიანი		
ბირი	8,760	8,760
პროცენტი	3,048	2,698
	11,808	11,458
გრძელვადიანი		
ბირი	778,720	726,722
პროცენტი	-	7,100
სულ მიღებული სესხები	778,720	733,822

სს ფრანს ავტო

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

10. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ ჯგუფთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს ჯგუფში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს ჯგუფზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. ჯგუფსა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს, რომლებთანაც ოპერაციები ფიქსირდება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, წარმოადგენს: სს „იმედის წარმომადგენლობა საქართველოში“, შპს „იბერია ტექ ავტომოტივი“, შპს „იბერია ავტოპალსი“, შპს „კია მოტორს ჯორჯია“, შპს „იბერია სერვისი“, სს „ლიონ ავტო“, შპს „ავტო სერვის კავკასია“. აღნიშნულ მხარეებთან კომპანიას უფიქსირდება მხოლოდ საქონლის მიწოდებისა და საქონლის შეძენის ოპერაციები. ასევე საწარმოს უფიქსირდება ერთ-ერთი მფლობელისგან, კერძოდ სს „IMEDI SAS“-სგან მიღებული გრძელვადიანი სესხი.

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგნაირად:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების არე

		ურთიერთობა	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
მიღებული სესხები				
IMEDI SAS	მფლობელი		778,720	726,722
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები				
სს იმედის წარმომადგენლობა საქართველოში	დაკავშირებული მხარე		1,070	767
შპს "კია მოტორს ჯორჯია"	დაკავშირებული მხარე			200
			1,070	967
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები				
შპს "იბერია ტექ ავტომოტივი"	დაკავშირებული მხარე		18,656	50
სს "ლიონ ავტო"	დაკავშირებული მხარე		600	
			19,256	50
				2018
უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება				112,675